ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი)-დავით მჭედლიშვილი

თანამდებობის დასახელება-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება -„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

კომისიის დასახელება -ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია;

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- 81-ე ოლქი.

საანგარიშო პერიოდი - 2021 წლის 3 დეკემბრიდან - დან 2022 წლის 1 ნოემბრამდე ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა -14 სხდომა

   საკრებულოს სხდომებზე დასწრება -14 სხდომა

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა-10 სხდომა აქედან დასწრება 7 სხდომაზე

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -5 სხდომა

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება -5 სხდომა

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები

-ჩემს მიერ ინიცირებული საკითხია „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განხორციელება ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ბიუჯეტის განხორციელებისთვის 300 000 ლარი გამოიყო. თითოეული პროექტის მაქსიმალური ღირებულება 100 000 ლარით განისაზღვრა.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებული იქნა ---- დადგენილება, განკარგულება.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

-თითოეული საკითხი რომელიც განიხილება საკრებულოს სხვადასხვა კომისიის

სხდომისათვის მოსამზადებლად არის ძალიან მნიშვნელოვანი. საკითხი, რომელიც დგება დღის წესრიგში განსახილველად საფუძვლად უდევს მოქალაქეთა სურვილი და ინტერესები, შესაბამისად, თითოეული მათგანი ხშირ შემთხვევაში არის ჩემგან და ჩემი გუნდის წევრებისაგან მხარდაჭერილი, რა თქმა უნდა, თუ კი ის არ არღვევს კანონმდებლობას და არ ახდენს ვინმეს უფლებრივ შეზღუდვას.

საკრებულოს რეგლამენტიდან გამომდინარე მანამ სანამ საკითხი საკრებულოს სხდომაზე გავა მხარდაჭერისათვის, მანამდე ხდება მისი საფუძვლიანი შესწავლა, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება დაესწროს კომისიებში განხილვის პროცესს და წამოაყენოს შენიშვნები ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხთა რიგს განეკუთვნება ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, სხვადასხვა სოციალური პროგრამების ამოქმედება, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს უქმნის ჯანმრთელობაზე ზრუნვის შესაძლებლობას და სხვა მრავალი საკითხი რომელიც ჩვენი მოქალაქეების უკეთეს გარემოში ცხოვრების ხელშეწყობას ემსახურება.

მაგალითისათვის გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან მხარდაჭერილ პროექტს, თუმცა, რასაკვირველია ეს არ იქნება მხარდაჭერილი პროექტების სრული ჩამონათვალი:

- ✓ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა 158-160 და კომახიძის ქუჩებზე მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობა.სამუშაოების ფარგლებში მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაცია, მოეწყო ასფ/ბეტონის საფარი, ტროტუარები, განთავსდა საპარკე სკამები, ნაგავშემკრები ყუთები, ფანჩატურები. დამონტაჟდა ტრენაჟორები,საბავშვო ატრაქციონები.
  დამონტაჟდა გარე განათების სისტემა და მოეწყო მინი სპორტული მოედანი.
- ✓ სოფელ მუხაესტატედან, სოფელ ქაქუთამდე ახალი გარე განათების სისტემა მოეწყო.12 კილომეტრიან მონაკვეთზე ლედ განათების სისტემა დამონტაჟდა.აღნიშნული სამუშაოების შედეგად, ქობულეთი-ოზურგეთის, ცენტრალური მაგისტრალის, 20 კილომეტრიან მონაკვეთზე, სრულად არის მოწყობილი გარე განათების სისტემა.
- ✓ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი პროგრამა".პროექტი გულისხმობს მცირე და დამწყები ბიზნესის განვითარების

არაუმეტეს 5000 ლარით იქნება დაფინანსებული.

- ✓ მხარს ვუჭერ, ასევე, პროექტს " მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის გაუმჯობესება ადგილობრივი პარტნიორობის გამოყენებით" ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის **(UNDP)** მიერ. პროექტის ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროფესიული განათლების დანერგვის მიზნით, შერჩეულია მუხაესტატეს საჯარო სკოლა. აღნიშნულ სკოლაში განხორციელდება ფორმალური პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსები. კოლეჯი "ახალი ტალღა" კი პროექტის განხორციელებაში გაუწევს მუხაესტატეს სკოლას მხარდაჭერას.

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

-ასეთი საკითხები არ არის

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა **400** დან **450** მდე და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა **4** ათასიდან **5** ათასამდე ადამიანი

8. მოქალაქეებთან შეხვედრებზე გამოთქმული ძირითადი საკითხები

-მოქალაქეებთან შეხვედრების დროს ძირითადი საკითხები, რომლებიც იკვეთება ესენია: ინფრასტრუქტურული და ფერდსამაგრი პროექტების განხორციელების აუცილებლობა სხვადასხვა სოფლებში. ასეთ შემთხვევაში ხდება მოქალაქის ინფორმირებულობა თუ რომელ უწყებას უნდა მიმართოს. ამის შემდეგ ხდება დასახელებული საკითხის შესწავლა და შემდგომ მასზე რეაგირება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების უმეტეს ნაწილს ,ასევე, სურს ინფორმაციის მიღება მიწის სისტემური რეგისტრაციის შესახებ და ისინი სრულად ინფორმირებულნი არიან ,ასევე, ხშირია მომართვა სხვადასხვა სოციალური პროგრამებთან დაკავშირებით. ძირითად შემთხვევაში ეს არის გადაუდებელი ოპერაციების დაფინანსების საკითხი და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომლის დაკმაყოფილებასაც ქობულთის მუნიციპალიტეტის მერია თითქმის უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს. მაღალია, ასევე, ახალგაზრდული ინიციატივების რიცხვიც, ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შორის, კონკრეტული საკითხები)

- ✓ შუამდგომლობა
- ✓ ინფორმირებულობა მერის სამსახურების მუშაობის სპეციფიკის შესახებ, ასევე, მათი გადამისამართება პრობლების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამის უწყებაში.

2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

-გარდა რეგლამენტით გათვალისწინებლი საქმიანობისა, აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა სახის სემინარებსა და ტრენინგებში. ასევე, ჩართული ვარ მერიის სხვადასვა სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგში.

შევსების თარიღი: 17.10.2022

წარდგენის თარიღი :

ხელის მოწერა: